საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-10/32

ქ. ბათუმი 05 მარტი, 2019 წელი

ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ინკლუზიური განათლების სპეციალისტის (სპეციალური მასწავლებლის) შრომის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-24–ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 6 თებერვლის N06-01/07 დადგენილების, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 8 თებერვლის N01-02/11 ბრძანების, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის 2019 წლის 4 მარტის N265175 სამსახურებრივი ბარათის, ,,ინკლუზიური განათლების სპეციალისტის (სპეციალური მასწავლებლის) ფუნქციათა აღწერილობის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 4 მარტის N01-02/29 ბრძანების და ,,ინკლუზიური განათლების სპეციალისტის (სპეციალური მასწავლებლის) შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 4 მარტის N01-02/30 ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ინკლუზიური განათლების სპეციალისტის (სპეციალური მასწავლებლის) ყოველთვიური შრომის ანაზღაურება ერთი სსსმ პროფესიული სტუდენტისა და სამუშაო დღეებში არანაკლებ 4 საათიანი სამუშაო განრიგის შემთხვევაში განისაზღვროს 300 ლარით.
2. სსსმ პროფესიული სტუდენტის რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში ინკლუზიური განათლების სპეციალისტის (სპეციალური მასწავლებლის) ყოველთვიური შრომის ანაზღაურება განისაზღვროს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით წინამდებარე ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
3. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ–ს რექტორის მოადგილეს (თამარ სირაძეს), ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, იურიდიულ დეპარტამენტს და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ჯემალ ანანიძე